№ 4-1/0654-15

"10" 02 2015 წ.

დადგენილება №000006
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

10.02.2015წ. ქ.თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა დავით მედულაშვილმა განვიხილე 2015 წლის 10 თებერვლის №000006 შემოწმების აქტი "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი **ღია სააქციო საზოგადოება "კავკასიის განვითარების ბანკი"-ს თბილისის ფილიალის** (საიდენტიფიკაციო კოდი №203861892, მის: ქ. თბილისი, ჯორჯაძის ქ. №5) მიმართ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ხეთაგუროვის ქ. №36-ში ღია სააქციო საზოგადოება "კავკასიის განვითარების ბანკი"-ს თბილისის ფილიალის მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №336972 AR170518 05.09.2012წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: ფასადებზე შეცვლილია დეკორატიული მოპირკეთების ნახატი, ნაწილობრივ მასალა და დეკორატიული ელემენტების მოწყობა. შეცვლილია ვიტრაჟების, კარების, ფანჯრების ნახატი და ნაწილობრივ გაბარიტი. ნაწილობრივ შეცვლილია შიდა და გარე კიბის კონფიგურაცია. შეცვლილია წყალმიმღები მილების რაოდენობა და ნაწილობრივ ფორმა. შეცვლილია ზოგიერთი სამერცხლის მოწყობა. ნაწილობრივ შეცვლილია მოაჯირების ნახატი და სიმაღლე. სახურავზე მოწყობილია მილები, მეხამრიდი და სატელიტური ანტენა. შენობის ძირში ნაწილობრივ მოწყობილია დეკორატიული ქვით მოპირკეთება. „ა-კ" და „8-1" ფასადზე ზოგიერთ მონაკვეთში დეკორატიული კირქვით და აგურით მოპირკეთების ნაცვლად კედელი შელესილი და შეღებილია. შეცვლილია ტერიტორიის მოწყობა, შემცირებულია გამწვანების ფართობი. „1-8" ფასადის წინ საკადასტრო საზღვრების გარეთ მოწყობილია გარე განათების ბოძები. შეცვლილია რელიეფის დონე და სახურავის კონფიგურაცია. „ა-კ" ფასადი: „დ-დ" ღერძთან მოწყობილია გამწოვი ღიობი და მილები. „ე-თ" მონაკვეთში გაუქმებულია კიბე, ბაქანი და მოაჯირი. ამავე მონაკვეთში +4.30 ნიშნულის ქვეშ მოწყობილია გადახურვა. ±0.00 ნიშნულზე „დ-ე" მონაკვეთში მოწყობილია მიშენება, კედლები, კოლონები, რიგელები, ლითონის სვეტი, ბწკალა და მსუბუქი გადახურვა, რის ხარჯზეც გაზრდილია ფართი. აღნიშნული მიშენების ზემოთ მოწყობილია დანადგარები და ლითონის მოაჯირი. „8-1" ფასადი: ±0.00 ნიშნულზე „7-7" და „5-5" ღერძთან ვიტრაჟების ნაცვლად მოწყობილია

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ფანჯრები. „1-1” ღერძის გარეთ დამატებულია კედელი და ბაქნის ქვეშ მოწყობილია ფრამუგა. „1-8” ფასადი: შენობის ძირში „1-8” მონაკვეთში გაზრდილია ფრამუგების რაოდენობა. „3-4” მონაკვეთში შეცვლილია საფეხურების რაოდენობა. ამავე მონაკვეთში +4.30 და +7.70 ნიშნულზე შეცვლილია აივნების გაბარიტი. +11.10 ნიშნულზე „1-5” მონაკვეთში გაზრდილია ვიტრაჟების რაოდენობა და დამატებულია კედლები. აღნიშნული ვიტრაჟები გადაწეულია წინ, რის ხარჯზეც გაზრდილია შიდა ფართი. „1-8” მონაკვეთში შეცვლილია ღიობების გაბარიტი. „კ-ა” ფასადი: შენობის ძირში „ე-ა” მონაკვეთში შეცვლილია ფრამუგების გაბარიტი და წინ მოწყობილია გისოსები. „კ-ი” მონაკვეთში შეცვლილია ღიობის გაბარიტი და მოწყობილია ვერტიკალურად ასაწევი კარი მექანიზმით. „ი-ე” მონაკვეთში შეცვლილია ბაქნის ფორმა, გაბარიტი, კიბის სიგანე, მდებარეობა, საფეხურების რაოდენობა, და მინის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირი. „თ-ე” მონაკვეთში პანდუსის ნაცვლად მოწყობილია ერთიანი კიბე. ±0.00 ნიშნულზე „კ-ი” მონაკვეთში მოწყობილია ფილა, კედელი გადაწეულია წინ და დამატებულია ვიტრაჟი, რის ხარჯზეც გაზრდილია ფართი. +14.50 ნიშნულზე „თ-ზ” მონაკვეთში სამერცხლის წინ მოწყობილია მინის მოაჯირი. შენობის შიგნით ნაწილობრივ შეცვლილია კიბეების მოწყობა, კონფიგურაცია, მდებარეობა, საფეხურების რაოდენობა და შექმნილია დონეები. შეცვლილია კიბეების და კოლონების რაოდენობა. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების მდებარეობა. -3.50 ნიშნულზე ზოგიერთ ადგილას შეცვლილია კედლების სისქე. შეცვლილია ლიფტის შახტის გაბარიტი. „ა-ა” ღერძის გარეთ „6-7” მონაკვეთში კედელში მოწყობილი ღიობის შიგნით ფართის დათვალიერება დამკვეთმა ვერ უზრუნველყო. „ე-ე” ღერძზე დამატებულია მცირე ზომის ტექნიკური ლიფტი. „7-7” ღერძის გარეთ დ-ე მონაკვეთში კედელი გადაადგილებულია, ასევე დამატებულია კედელი, რის ხარჯზეც შეცვლილია ფართი. +11.00 ნიშნულზე აივანზე „ა-ა” და „5-5” ღერძების კვეთასთან მოწყობილია ტიხარი. „1-1” ღერძის გარეთ კიბის ნაწილი და ამავე ღერძის გარეთ „კ-კ” ღერძზე კედლის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს. ასევე „1-1” და „ბ-ა” ღერძების გარეთ მოპირკეთების ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს. პროექტის ხარვეზი: კედლები პროექტში არ არის ნაჩვენები განსხვავებული ფაქტურით.

2015 წლის 10 თებერვალს საქართველოს “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის “ზ” პუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000006 “სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ.” საქმეშია, მხარის №12/14353439-16 19.12.2014წ. განცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, ღია სააქციო საზოგადოება “კავკასიის განვითარების ბანკი”-ს თბილისის ფილიალის მიერ ჩადენილია საქართველოს “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის “ა” პუნქტის “ა.ბ.” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, ხეთაგუროვის ქ. №36-ში ღია სააქციო საზოგადოება “კავკასიის განვითარების ბანკი”-ს თბილისის ფილიალის მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №336972 AR170518 05.09.2012წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით ”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ”, საქართველოს “პროდუქტის უსაფრთხოებისა და

თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის “ა” პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის “ა” პუნქტის “ა.ბ.” ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. ღია სააქციო საზოგადოება “კავკასიის განვითარების ბანკი”-ს თბილისის ფილიალი დაჯარიმდეს 3.000 (სამიათასი) ლარით პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. ღია სააქციო საზოგადოება “კავკასიის განვითარების ბანკი”-ს თბილისის ფილიალს დაევალოს საქართველოს “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, ღია სააქციო საზოგადოება “კავკასიის განვითარების ბანკი”-ს თბილისის ფილიალს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, “დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ”, ხოლო საქართველოს “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი დ. მედულაშვილი

№000006 შემოწმების აქტის დანართი (დანართი ორი ფურცელი)

ფასადებზე შეცვლილია დეკორატიული მოპირკეთების ნახატი, ნაწილობრივ მასალა, და დეკორატიული ელემენტების მოწყობა. შეცვლილია ვიტრაჟების, კარების, ფანჯრების ნახატი და ნაწილობრივ გაბარიტი. ნაწილობრივ შეცვლილია შიდა და გარე კიბის კონფიგურაცია. შეცვლილია წყალმიმღები მილების რაოდენობა და ნაწილობრივ ფორმა. შეცვლილია ზოგიერთი სამერცხლის მოწყობა. ნაწილობრივ შეცვლილია მოაჯირების ნახატი და სიმაღლე. სახურავზე მოწყობილია მილები, მეხამრიდი და სატელიტური ანტენა. შენობის ძირში ნაწილობრივ მოწყობილია დეკორატიული ქვით მოპირკეთება. „ა-კ" და „8-1" ფასადზე ზოგიერთ მონაკვეთში დეკორატიული კირქვით და აგურით მოპირკეთების ნაცვლად კედელი შელესილი და შეღებილია. შეცვლილია ტერიტორიის მოწყობა, შემცირებულია გამწვანების ფართობი. „1-8" ფასადის წინ საკადასტრო საზღვრების გარეთ მოწყობილია გარე განათების ბოძები. შეცვლილია რელიეფის დონე და სახურავის კონფიგურაცია.

„ა-კ" ფასადი: „დ-დ" ღერძთან მოწყობილია გამწოვი ღიობი და მილები. „ე-თ" მონაკვეთში გაუქმებულია კიბე, ბაქანი და მოაჯირი. ამავე მონაკვეთში +4.30 ნიშნულის ქვეშ მოწყობილია გადახურვა. ±0.00 ნიშნულზე „დ-ე" მონაკვეთში მოწყობილია მიშენება, კედლები, კოლონები, რიგელები, ლითონის სვეტი, ბწკალა და მსუბუქი გადახურვა, რის ხარჯზეც გაზრდილია ფართი. აღნიშნული მიშენების ზემოთ მოწყობილია დანადგარები და ლითონის მოაჯირი.

„8-1" ფასადი: ±0.00 ნიშნულზე „7-7" და „5-5" ღერძთან ვიტრაჟების ნაცვლად მოწყობილია ფანჯრები. „1-1" ღერძის გარეთ დამატებულია კედელი და ბაქნის ქვეშ მოწყობილია ფრამუგა.

„1-8" ფასადი: შენობის ძირში „1-8" მონაკვეთში გაზრდილია ფრამუგების რაოდენობა. „3-4" მონაკვეთში შეცვლილია საფეხურების რაოდენობა. ამავე მონაკვეთში +4.30 და +7.70 ნიშნულზე შეცვლილია აივნების გაბარიტი. +11.10 ნიშნულზე „1-5" მონაკვეთში გაზრდილია ვიტრაჟების რაოდენობა და დამატებულია კედლები. აღნიშნული ვიტრაჟები გადაწეულია წინ, რის ხარჯზეც გაზრდილია შიდა ფართი. „1-8" მონაკვეთში შეცვლილია ღიობების გაბარიტი.

„კ-ა" ფასადი: შენობის ძირში „ე-ა" მონაკვეთში შეცვლილია ფრამუგების გაბარიტი და წინ მოწყობილია გისოსები. „კ-ი" მონაკვეთში შეცვლილია ღიობის გაბარიტი და მოწყობილია ვერტიკალურად ასაწევი კარი მექანიზმით. „ი-ე" მონაკვეთში შეცვლილია ბაქნის ფორმა, გაბარიტი, კიბის სიგანე, მდებარეობა, საფეხურების რაოდენობა, და მინის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირი. „თ-ე" მონაკვეთში პანდუსის ნაცვლად მოწყობილია ერთიანი კიბე. ±0.00 ნიშნულზე „კ-ი" მონაკვეთში მოწყობილია ფილა, კედელი გადაწეულია წინ და დამატებულია ვიტრაჟი, რის ხარჯზეც გაზრდილია ფართი. +14.50 ნიშნულზე „თ-ზ" მონაკვეთში სამერცხლის წინ მოწყობილია მინის მოაჯირი.

შენობის შიგნით ნაწილობრივ შეცვლილია კიბეების მოწყობა, კონფიგურაცია, მდებარეობა, საფეხურების რაოდენობა და შექმნილია დონეები. შეცვლილია კიბეების და კოლონების რაოდენობა. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების მდებარეობა.

-3.50 ნიშნულზე ზოგიერთ ადგილას შეცვლილია კედლების სისქე. შეცვლილია ლიფტის შახტის გაბარიტი. „ა-ა” ღერძის გარეთ „6-7” მონაკვეთში კედელში მოწყობილი ღიობის შიგნით ფართის დათვალიერება დამკვეთმა ვერ უზრუნველყო. „ე-ე” ღერძზე დამატებულია მცირე ზომის ტექნიკური ლიფტი. „7-7” ღერძის გარეთ დ-ე მონაკვეთში კედელი გადაადგილებულია, ასევე დამატებულია კედელი, რის ხარჯზეც
შეცვლილია ფართი. +11.00 ნიშნულზე აივანზე „ა-ა” და „5-5” ღერძების კვეთასთან მოწყობილია ტიხარი.

„1-1” ღერძის გარეთ კიბის ნაწილი და ამავე ღერძის გარეთ „კ-კ” ღერძზე კედლის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს. ასევე „1-1” და „ა-ა” ღერძების გარეთ მოპირკეთების ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს.

პროექტის ხარვეზი: კედლები პროექტში არ არის ნაჩვენები განსხვავებული ფაქტურით.

მთავარი სპეციალისტი _____ /გ. ეთერია/

დანართი ჩაიბარა (სახელი, გვარი მიღების თარიღი, ხელმოწერა)

_____

_____

საგადასახადო დავალება # 6 Payment Order

02/03/2015

ოპერ 10

ოპ.კოდი

00075D0C

გადამხდელი sender: სს კავკასიის განვითარების ბანკი საქართველო,

გადამხდელის ანგარიში Sender's Acc: GE63CS0000000004501001

გადამხდელის ბანკი Sender's Bank: სს "კავკასიის განვითარების ბანკი - საქართველო"

ბანკის კოდი Bank Code: DEVGGE22

ინფორმაცია პირზე რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა

დასახელება: სს კავკასიის განვითარების ბანკი საქართველო

საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი Sender's Tax Code: 404438417

მიმღები Receiver: ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი Receiver's Acc: 300773263

მიმღების ბანკი/ხაზინა Receiver's Bank: ქ.თბილისი, "სახელმწიფო ხაზინა"

ბანკის კოდი Bank Code: TRESGE22

გადახდის დანიშნულება Operation Details: შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია Additional Information: ღსს კავკასიის განვითარების ბანკის თბილისის ფილიალის ჯარიმა პროექტის დარღვევით მშენებლობისთვის , ქ.თბილისი, ხეთაგუროვის ქ.36-ში

ხელმოწერები/Signature:

ბ.ა.

თანხა/Amount

3,000.00 GEL

თანხა სიტყვებით Amount in words

სამი ათასი ლარი 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები

შესრულების თარიღი: 02/03/2015

ბანკში შემოსვლის თარიღი: 02/03/2015

ხელმოწერა

შტამპის ადგილი